ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 157 (3641)

11

1968 წ. აგვისტო. კვირა. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

სსრ კავშირის პირველობა



## ჭუჭინ...

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

თბილისის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს „ნეფტჩი". თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 4:0. გოლების ავტორები არიან ასათიანი (2) და გავაშელი (2). თბილისელთა მეკარე ურუშაძემ უკუაგდო მარქაროვის პენალტი.

ქუთაისში თამაშობდნენ ადგილობრივი „ტორპედო" და მოსკოვის „სპარტაკი". გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0. პირველი გოლი სპარტაკელთა კარში გაიტანა ხერხაძემ, მეორე — ხიზანიშვილმა.

ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა:

„არარატი" — „დინამო" (კიროვაბადი) 1:0.

ასკ (როსტოვი) — „ლოკომოტივი" 1:1.

„დინამო" (კიევი) — „კაირატი" 1:1.

„ჩერნომორეცი" — „პახტაკორი" 4:1.

„დინამო" (მინსკი) — „დინამო" (მოსკოვი) 1:0.

ცსკა — „ზენიტი" 1:0.

I ლიგა

## ჩხარტიშვილი, მორჩილაძე და ფრენბურთელი გოგონები

მინსკში დამთავრდა პროფტექნიკური სასწავლებლების XI საკავშირო სპარტაკიადა.

კლასიკურ ჭიდაობაში კარგად გამოვიდნენ საქართველოს წარმომადგენლები ი. ჩხარტიშვილი და შ. მორჩილაძე. მათ თავიანთ წონებში ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს.

ჩემპიონები გახდნენ ჩვენი რესპუბლიკის ფრენბურთელი გოგონებიც, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს სომხეთის გუნდი — 3:0.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა. მათ გადაეცათ მთავარი პრიზი.

## მოგების მაგიერ წაგება

დუშეთი, 10 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობის IV ტურში თ. ხუგაშვილმა საუცხოო სტილში მოუგო კ. პილცერს და ტურნირის ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

კარგად ითამაშა ც. სიორდიამ (ცხაკაია) მ. ჩომახიძესთან, მაგრამ რთულ პოზიციაში, სადაც მას კომბინაციით მოგება შეეძლო, მოულოდნელად ... დანებდა, ვინაიდან სწორედ ეს მშვენიერი კომბინაცია გამოეპარა.

ჭ. გოგიავამ მოუგო ზ. შენგელიას (სამტრედია), მ. სანაძემ — ლ. კოროშინაძეს.

სხვა პარტიები გადაიდო. ნ. ალექსანდრიას ჯ. ლომიძესთან (ქუთაისი) ზედმეტი ფიგურა აქვს, ც. კახაბრიშვილს ნ. ჩიჯოხავასთან — ორი პაიკი, ხოლო ც. კობაიძეს ს. ივანოვასთან — ხარისხი.

4 ტურის შემდეგ ლიდერებში არიან: ხუგაშვილი — 4, კახაბრიშვილი — 3 (1), კობაიძე — 2,5 (1) და ალექსანდრია — 2 (2).

## [illegible]

◆ ვიგო (ესპანეთი), 10 აგვისტო. ევროპის იუნიორ კალათბურთელ ვაჟთა გუნდების აქ მიმდინარე ჩემპიონატის ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან სსრ კავშირისა და იუგოსლავიის წარმომადგენლები. ნახევარფინალში საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა თურქეთის გუნდი — 75:48 (44:19), ხოლო იუგოსლაველებმა — იტალიის ნაკრები — 74:70 (35:28). თურქეთისა და იტალიის კალათბურთელები III ადგილისთვის ეთამაშებიან ერთმანეთს.

◆ სალიანი, 10 აგვისტო. ფიზკულტურელის საკავშირო დღე აქ ახალი სპორტული კომპლექსის პირველი რიგის საზეიმო გახსნით აღინიშნა. ახალ სტადიონზე გაიმართა მასობრივი შეჯიბრებები, რომლებშიც მონაწილეობდნენ რაიონის მენავთობეებისა და მებამბეების კოლექტივები. კომპლექსი საზოგადოებრივ საწყისებზე შენდება. მას თავისუფალ დროს აშენებენ რაიონის 20-ზე მეტი სამრეწველო ორგანიზაციისა და კოლმეურნეობის წარმომადგენლები. კომპლექსში შედის 4-ათასადგილიანი სტადიონი, ზამთრის სპორტდარბაზი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, ჩოგბურთის კორტები.

## გზა სოჩიმილკოსკენ

ახლოვდება მეხიკო. ოლიმპიური გუნდების მწვრთნელები მალე თავიანთი აღსაზრდელების სპორტული ფორმის საბოლოო სრულყოფას შეუდგებიან. ჯერჯერობით კი ისინი ყოველი სტარტის გამოყენებას ცდილობენ, რათა აღმოფხვრან ხარვეზები, რაც შესაძლოა დაბრკოლებად აღიმართოს მეხიკოს გზაზე. ცდილობენ ძალის გამომუშავებას, რომელიც ფაქტიურად, უმაღლესი ფორმის მიღწევის საწინდარია.

აკადემიური ნიჩბოსნობის საბჭოთა ოსტატები უკვე ოთხჯერ გავიდნენ საერთაშორისო რეგატების სტარტებზე. ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტმა ი. სეგენევიჩმა შეჯიბრებებს შორის ხანმოკლე შესვენებით ისარგებლა და სახელმწიფო მწვრთნელს ე. სამსონოვს სთხოვა. პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე.

● როგორია შედგენილი ოლიმპიადისთვის საბჭოთა ნიჩბოსნების მზადების გეგმა?

— ეტაპების მიხედვით გეგმა ასეთია: მოსკოვის, რაცებურგის (გფრ), გრიუნაუსა (გდრ) და ლიუცერნის (შვეიცარია) რეგატების, აგრეთვე, სსრ კავშირის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ბულგარეთში მოეწყობა ერთობლივი ვარჯიში მასპინძლებთან მაღალმთიან არეზე (1600 მ). შემდეგ კი გველის მეხიკო, სადაც ჩვენ ალბათ ოლიმპიურ სტარტამდე ერთი თვით ადრე ჩავალთ.

● რა მოგცათ მოსკოვის, რაცებურგის, გრიუნაუსა და ლიუცერნის სტარტებმა?

— სპორტსმენთა შედეგების შეფასებისას დიდი სიფრთხილე გვმართებს. საქმე ისაა, რომ ამჯერად ჩვენ მტკიცედ უარვყავით ცალკეული რეგატებისთვის ფორსირებული მზადების პრაქტიკა. ამის მიუხედავად, თვითეული ეს შეჯიბრება შეფასებული იყო კოეფიციენტით, რომელიც სულ უფრო უახლოვდება სსრ კავშირის ჩემპიონატს, ვინაიდან ნაკრების წევრთა ვინაობა საბოლოოდ ჯერ დაუდგენელია. ახლა ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ, როგორც ჩანს, მხოლოდ ჩემპიონატი დაასახელებს საბოლოო შემადგენლობას.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი სპორტსმენების მზადების დონე წინასაოლიმპიადო წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ არა იმდენად, რომ ნაკლს ვერ ვამჩნევდეთ. კერძოდ, გდრ-ის სპორტსმენთა გამოსვლამ დაადასტურა, რომ ჩვენ ყველაზე მოწინავე პოზიციები როდი გვიჭირავს.

● რა სიძნელეებს ხვდებით გუნდის დაკომპლექტებისას?

— საკმარისია დავასახელოთ ერთი, რომელიც ფარავს საორგანიზაციო ხასიათის შეუთანხმებლობებს: იძულებული ვართ გუნდის შესარჩევი შეჯიბრებები დაბლობში მოვაწყოთ, ოლიმპიური ასპარეზობა კი მაღალმთიანეთის პირობებში მოგვიხდება. ჩვენზე მაღალ ადგილებში (2240 მ), როგორც ვიცი, მხოლოდ ხუთჭიდელთა ტურნირი გაიმართება.

მექსიკელებმა სოჩიმილკოს არხი საექსპლოატაციოდ შარშან გადასცეს. მაშინ, წინაოლიმპიურ კვირეულში, არხი მოსინჯეს ვ. ივანოვმა და ჩვენმა ორადგილიანმა მესაჭით (დრაჩევსკი, ხელმი). ორადგილიანმა გაიმარჯვა, ივანოვმა კი III ადგილი დაისაკუთრა. მექსიკაში ბუნებრივი პირობები ძალიან თავისებურია: ზისარ ჩრდილში მსუბუქად ჩაცმული და თითქოს გციება კიდეც, მზეზე გამშვერილ ხელს კი დიდხანს ვერ გააჩერებ — პაპანაქებაა. ეს ბოლოსდაბოლოს წვრილმანია მაღალმთიანეთის ზემოქმედებასთან შედარებით. სპეციალისტებმა დიდი ხანია დაამტკიცეს, რომ იქ ყველაზე მეტად მას გაუჭირდება, ვისაც ხანგრძლივი ფიზიკური დატვირთვა მოუწევს. დამაჯერებლობისათვის ვიტყვი: ჩვენი სპორტსმენები, რომლებიც კარგ ფორმაში იყვნენ, წუთში 4 მოსმას კარგავდნენ. მეხიკოში 18 დღე დავყავით და მთლიანად აკლიმატიზება მაინც ვერ შევძელით.

● რამდენად დაძაბულია ბრძოლა ოლიმპიური ნაკრების კანდიდატთა შორის?

— ვფიქრობ ეს არ ეხება რვაადგილიანს, ვინაიდან იგი ქვეყნის ნაკრებს წარმოადგენს. ძლიერია ოთხადგილიანი ნავი მესაჭით (მენიჩბე ევსეევი). ისინი ხომ ევროპის ორგზის ჩემპიონები და 1966 წლის მსოფლიო პირველობის მეორე პრიზიორები არიან.

დანარჩენ კლასებში სიტუაცია ასეთია: ერთადგილიანებში ივანოვს მოუწევს მზარდ მელნიკოვთან მეტოქეობა, წყვილმოსასმელიანებში (ტიურინი — ედანოვიჩი) იგრძნობა სასისა და ტიმოშინინის შემოტევა. ამ კლასში, საჭიროების შემთხვევაში, გამორიცხული არაა გადაადგილება. ორმოსასმელიანებმა მესაჭით (დრაჩევსკი — ხელმი) მიშინ — ორლოვის წყვილთან უპირატესობა უნდა დაამტკიცონ. უმესაჭო ორიანებით უფრო შესაძლებელია ვეტერანების სუსლინ — ფიოდოროვის გამოსვლა. დაბოლოს, უმესაჭო ოთხადგილიანების შეჯიბრებაში დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი რიგის „დინამოს" (მენიჩბე ბარკანსი) და მოსკოვის „ვოდნიკის" (მენიჩბე ნემტირევი) შორის. აი, ჩვენი ძირითადი ძალები.

● დაგვისახელეთ საბჭოთა ნაკრების ძირითადი კონკურენტები ოლიმპიადაში.

— გუნდურ ბრძოლაში, ჩემი აზრით, ჩაებმებიან ხუთი ქვეყნის — გდრ-ის, ამერიკის შეერთებული შტატების, გფრ-ის, პოლონეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. ამ კოლექტივებიდან თვითეულს შეუძლია 7 ძლიერი ნავი გამოიყვანოს. დიდი რეზერვის გამო უპირატესობა გდრ-ის ნაკრების მხარეზეა. იმედი გვაქვს ჩვენი რვიანისა და ერთადგილიანისა, აგრეთვე, ორმოსასმელიანი წყვილებისა. ჩვენი ძირითადი ამოცანაა მოვხვდეთ შვიდივე კლასის ნავების ასპარეზობის ფინალში.



●

მოსკოვის ახალგაზრდა სპორტსმენ-მედიკთა ჯგუფმა დაიწყო ველოგადარბენა მარშრუტით მოსკოვი — ვორონეჟი — როსტოვი — კრასნოდარი — თბილისი — ერევანი — სოჭი (3306 კმ).

გადარბენა ეძღვნება კომკავშირის იუბილეს და საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის 50 წლისთავს.

სურათზე: ველოგადარბენის მონაწილენი მოსკოვის ქუჩებში.

ფოტო ვ. კუზმინისა (საკდესი).

●

## [illegible]

● ტალინი, 9 აგვისტო. საკავშირო ჩემპიონატში მოასპარეზე რაპირისტ ვაჟთა ფინალური ტურნირი მოულოდნელი შედეგით დამთავრდა: ყველას აჯობა ახალგაზრდა ლვოველმა ოსტატმა ვ. სტანკოვიჩმა. მან დაამარცხა ისეთი სახელგანთქმული მოფარიკავეები, როგორიც არიან მსოფლიოს ჩემპიონი გ. პუტიატინი, ექს-ჩემპიონი გ. სვეშნიკოვი, აგრეთვე, ა. სისიკინი, ი. შაროვი და ვ. ლუკიანჩენკო. სტანკოვიჩს ფინალში არც ერთი ბრძოლა არ წაუგია. ვერცხლის მედალი დამატებითი ორთაბრძოლის შემდეგ წილად ხვდა სისიკინს (სარატოვი), ხოლო ბრინჯაოსი — ასევე სარატოველ შაროვს.

● კონსტანცა, 10 აგვისტო. სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრებმა I ადგილი დაიკავა რუმინეთის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. საბჭოთა სპორტსმენებმა დაუმარცხებლად ჩაატარეს მთელი ასპარეზობა და დასკვნითი მატჩი ჩეხოსლოვაკიელებს „მშრალი" ანგარიშით (3:0) მოუგეს. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, პოლონეთისა და რუმინეთის (მოზრდილთა და ახალგაზრდული) გუნდები.

● ერფურტი, 10 აგვისტო. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მძლეოსანთა ჩემპიონატში ქვეყნის ახალი რეკორდები დაამყარეს ჰაინც ერბშტოსერმა (100 მ—10,1) და მიხაელ ცერბესმა (400 მ — 46,1). ბერბელ ლეზერტი 653 სმ-ზე გადახტა.

● კოტკა, 10 აგვისტო. წლეულს მსოფლიოში შუბის ტყორცნაში მეორე შედეგი (რიგელი ი. ლუსისის შემდეგ) აჩვენა აქ ფინელმა მძლეოსანმა ი. კინუნენმა — 87,30 მ.

● ორჰუსი (დანია), 10 აგვისტო. მსოფლიოს რეკორდსმენმა რ. კლარკმა (ავსტრალია), რომელიც მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ემზადება, აქ გაიმარჯვა 3000 მეტრზე რბენაში — 7.48,4. იგი მხოლოდ 8,8 წამით „ჩამორჩა" კენიელი კ. კეინოს მსოფლიო რეკორდს.

## [illegible]

# საპატიო სიგელებით

ფიზკულტურელის საკავშირო დღის აღსანიშნავად, ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისთვის საქართველოს სპორტკავშირმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა:

1. დ. თავზარაშვილი — გორის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე,
2. ა. ჟარხანიშვილი — გორის ბამბეულის კომბინატის დირექტორი,
3. ლ. ხარატიშვილი — გორის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე,
4. ვ. ხინჩიკაშვილი — მშრომელთა დეპუტატების გორის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე,
5. ი. ხირსელი — გორის ჭიდაობის ფედერაციის თავმჯდომარე.

# წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით კლასიკურ ჭიდაობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭა კ. ლულუნაშვილს (თბილისის „დინამო“).

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **აკრობატიკაში** — ა. პოლოსიანს (სოხუმის „შრომითი რეზერვები“); **ძალოსნობაში** — ი. კერესელიძეს (გარდაბნის „კოლმეურნე“), ქ. ქავთარაძეს (ბათუმი, „კოლმეურნე“).

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით **ჭადრაკში** საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა ვ. ნიზანიშვილს (თბილისი).

• • •

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **წყალბურთში** — ჯ. წიკლაურს (თბილისი); **კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში** — გ. ჩიტიაშვილს (თბილისი); **თავისუფალ ჭიდაობაში** — გ. ბასიაშვილს (თბილისი).

• • •

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **აკრობატიკაში** — ვ. გავრილოვსკის (თბილისის „ბურევესტნიკი“); **ველოსპორტში** — ა. ვლასენკოს (ქობულეთის „კოლმეურნე“); **კლასიკურ ჭიდაობაში** — თ. ცინცაძეს, თ. რეხვიაშვილს, გ. როჩიკაშვილს (სამივე — თბილისის „სპარტაკი“); **თავისუფალ ჭიდაობაში** — თ. მიქელაძეს (თბილისის „სპარტაკი“), ტ. გაგუას (ბათუმის რაიონის „კოლმეურნე“), გ. დიღმელაშვილს, ნ. ექვთიმიშვილს (ორივე — საგარეჯოს „კოლმეურნე“), შ. ჩხეტიანს (გალის „კოლმეურნე“), გ. ბალხამიშვილს (კასპის „კოლმეურნე“), გ. გიორგაძეს (მცხეთის „კოლმეურნე“); **სამბოში** — ე. ტეფნაძეს (ხაშურის „კოლმეურნე“), მ. კისიევს, გ. დვალიშვილს (ორივე — ცხინვალის „კოლმეურნე“); **შაშში** — ა. ფეიდერს (ფოთის „სპარტაკი“); **ტანვარჯიშში** — მ. ბეიღლიშვილს (ქუთაისის „ლოკომოტივი“), ლ. ხასიევას, თ. ფორჩხიძეს, ჟ. კაზიევას, ნ. ბუიძეს, თ. წიქორიძეს (ყველა — ქუთაისის განათლების განყოფილება), რ. სიხარულიძეს (ბათუმის „დინამო“).

• • •

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **ქართულ ჭიდაობაში** — გ. იოსებაშვილს (ახმეტის „კოლმეურნე“), ა. პატარქალიშვილს (კასპის „განთიადი“), ა. კიტრიაშვილს (კასპის „კოლმეურნე“), გ. მაზანაშვილს (გორის „კოლმეურნე“), გ. ეპიტაშვილს (თბილისი, ასკ).



ხარკოვში სამხედრო-საჰაერო ძალების მძლეოსანთა საკავშირო პირველობაში 100 მეტრზე რბენაში წარმატებით იასპარეზა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენელმა გ. სტეპანოვმა (მწვრთნელი ე. ლომთაძე), რომელმაც ფინალში 10,6 წამი აჩვენა და პირველობა დაისაკუთრა.

სურათზე: გ. სტეპანოვი შეჯიბრების დროს.

ფოტო ი. იუნაევისა.

# საუკეთესონი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტულ სკოლებში მძლეოსანთა ცვლის მომზადების კონკურს-დათვალიერებისას ჟიურიმ შეაჯამა მწვრთნელებისა და სკოლების მიერ შარშან გაწეული მუშაობის შედეგები.

საიუბილეო წელიწადს მწვრთნელთა შორის საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს: ბ. სადოვოიმ, რომელმაც აღზარდა სსრ კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის მეორე პრიზიორი და ჭაბუკთა ორი რესპუბლიკური რეკორდის ავტორი უროს ტყორცნაში ე. გაფრინდაშვილი (კონკურსის პირობების თანახმად, ამ სპორტსმენმა შარშანდელი წარმატებისთვის 78 ქულა დააგროვა); სპარტაკიადის მეოთხე პრიზიორი უროს ტყორცნაში ი. ჩერკაშინი, რომელმაც ლენინგრადის შეჯიბრებაში IV ადგილი დაიკავა (38 ქულა); მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მეხუთე პრიზიორი და რესპუბლიკის ჭაბუკთა რეკორდის ავტორი შუბის ტყორცნაში რ. ანგელოვი (38); სპარტაკიადის VI პრიზიორი და რესპუბლიკის რეკორდსმენი 800 მეტრზე რბენაში გ. შოშიაშვილი (28), აგრეთვე, ი. ფხაკაძე, რომელმაც საკავშირო სპარტაკიადის მზადების პერიოდში სადოვოის ხელმძღვანელობით საგრძნობლად სრულყო ტექნიკა და ლენინგრადის სპარტაკიადაში V ადგილი დაიკავა უროს ტყორცნაში (32). სადოვოიმ კონკურს-დათვალიერებაში 214 ქულა მოაგროვა.

ა. იაცკევიჩმა, რომელმაც აღზარდა: საქართველოს ჭაბუკთა რეკორდსმენი და ლენინგრადის მოსწავლეთა სპარტაკიადის VI პრიზიორი 3000 მეტრზე რბენაში ლ. ტიტოვი. ამ სპორტსმენმა შარშანვე საქართველოს რეკორდი დაამყარა 1500 მეტრზე წინაღობებით რბენაში, ხოლო მოსწავლეთა სპარტაკიადაში VIII ადგილი დაიკავა ამ სახეობაში (95 ქულა); ვ. მაირომიანი, რომელმაც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში 3000 მეტრზე რბენაში საქართველოს რეკორდი დაამყარა, ხოლო ლენინგრადში ამ დისტანციაზე VI ადგილი დაისაკუთრა (63); გ. შოშიაშვილი, რომელიც სპარტაკიადისთვის იაცკევიჩის ხელმძღვანელობით ემზადებოდა და 800 მეტრზე VI ადგილი დაიკავა (28).

III ადგილი წილად ხვდა ჟ. საბანაშვილს, რომელმაც აღზარდა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი და საქართველოს რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში ნ. ზვიადაური (60); შუბის ტყორცნაში საკავშირო სპარტაკიადის მეხუთე პრიზიორი ელეონორა ჩამველიანი (25). ზ. დოლიძემ მისი ხელმძღვანელობით სპარტაკიადის მზადების პერიოდში იმდენად გააუმჯობესა შედეგები, რომ ლენინგრადში III საპრიზო ადგილზე გავიდა (30).

კონკურს-დათვალიერებაში IV ადგილი ხვდა საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს ბ. ტახტაროვს. საბოლოოდ მან 111 ქულა დააგროვა და მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩა საბანაშვილს. მწვრთნელს ეს ქულები მოუტანეს: ჭოკით ხტომაში საქართველოს რეკორდსმენმა ვ. ხართიშვილმა, რომელმაც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში ექვსჭიდში IX ადგილი დაიკავა (36). ტახტაროვმა აღზარდა სპარტაკიადის მონაწილენი ვ. ქავთარაძე, რომელმაც 110 მეტრზე თარჯრბენში რესპუბლიკური რეკორდი გააუმჯობესა და საკავშირო სარბიელზე VI ადგილი დაიკავა (38); მ. პოპანდოპულო, რომელიც სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ტახტაროვთან ვარჯიშობდა და ექვსჭიდში დაამყარა რესპუბლიკური რეკორდი, რაც ჭაბუკთა საკავშირო რეკორდს აღემატება (37).

თბილისელმა მწვრთნელმა დ. ბეთლემიძემ მოამზადა საქართველოს რეკორდსმენი შუბის ტყორცნაში (გოგონათა შორის) დ. საბაური, რომელმაც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში X ადგილი დაიკავა და კონკურს-დათვალიერებაში ჩაბმულ მწვრთნელს 36 ქულა მოუტანა. ბეთლემიძემ აღზარდა სიმაღლეზე მხტომელი ვ. უზმორსკი, რომელმაც სპარტაკიადაზე VI ადგილი დაიკავა (34) საშუალო ასაკში და პ. კრასნოვი. ეს უკანასკნელი XI ადგილზე გავიდა უფროსი ასაკის სიმაღლეზე მხტომელებში (32).

კონკურსში VI ადგილი დაისაკუთრა მახარაძელმა მწვრთნელმა ზ. ერქომაიშვილმა, რომელმაც აღზარდა საშუალო ასაკის ბადროს მტყორცნელი, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მეორე პრიზიორი ზ. დოლიძე (48) და თ. მდინარაძე. ამ უკანასკნელმა საკავშირო სპარტაკიადაში 200 მეტრზე რბენაში VI ადგილი დაიკავა, ხოლო 100 მეტრზე საქართველოს რეკორდი დაამყარა (53).

თბილისელი მწვრთნელის გალინა მიროტაძის აღსაზრდელებიდან მწვრთნელს ჩასათვლელი ქულები მოუტანეს ლ. ზვონიკოვამ, რომელმაც საკავშირო სპარტაკიადაში 80 მეტრზე თარჯრბენში IV ადგილი დაიკავა და საქართველოს რეკორდიც დაამყარა (61), აგრეთვე, თ. ცინცაძემ. იგი ლენინგრადში მეხუთე იყო სამხტომში (35).

მ. ალიმანოვის (ქუთაისი) აღზრდილმა ა. მოშიაშვილმა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში 110 მეტრზე თარჯრბენში სცადა ძალა. აქ მან III ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივიც შეასრულა (78).

IX ადგილზე გავიდა ფოთელი მწვრთნელი ბ. თალაკვაძე, რომელმაც მოამზადა 110 მეტრზე თარჯრბენში საქართველოს რეკორდსმენი და საკავშირო სპარტაკიადის მეოთხე პრიზიორი ვ. ქავთარაძე. მისი აღზრდილია ლ. ფარცვანიაც, რომელმაც ლენინგრადში 400 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის XI ადგილი დაიკავა და საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა (37).

X ადგილი მიეკუთვნა ვ. მდოვენს, რომლის ხელმძღვანელობითაც მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის ემზადებოდნენ დ. საბაური და ნ. ჩიკოიძე. როგორც ცნობილია, საბაურმა შუბის ტყორცნაში X ადგილი დაიკავა, ჩიკოიძემ — V.

ჟიურიმ საშუალო სკოლებს შორის გამარჯვებულად ცნო თბილისის 85-ე საშუალო სკოლა (დირექტორი კ. შარაშიძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი ქ. კვანჭახაძე). ამ სკოლაში აღიზარდა საქართველოს რეკორდსმენი საშუალო ასაკის უროს მტყორცნელებში და სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრი ე. გაფრინდაშვილი.

II ადგილზეა ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლა (დ. ბრეგვაძე, ე. ალიშანოვი), რომელმაც რესპუბლიკის ნაკრებს მისცა 110 მეტრზე თარჯრბენში საქართველოს ჭაბუკთა რეკორდსმენი და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მესამე პრიზიორი ა. მოშიაშვილი.

III ადგილზე გავიდა თბილისის მე-13 საშუალო სკოლა (გ. კეჭაძე, ნ. კილკინოვი). ამ სკოლაში სწავლობს რესპუბლიკის რეკორდსმენი ოთხჭიდში (გოგონათა შორის) ლ. ზვონიკოვა, რომელიც ლენინგრადის ტურნირში მეოთხე იყო 80 მეტრზე თარჯრბენში.

შემდეგ მოდიან: ბათუმის მე-15 საშუალო სკოლა (ს. ხახუა, ზ. თავაძე), რომლის მოსწავლემ მ. პოპანდოპულომ ექვსჭიდში იუნიორთა საკავშირო რეკორდი დაამყარა; თიანეთის სკოლა-ინტერნატი (დ. გონჯილაშვილი, გ. სუარიშვილი), სადაც აღიზარდა შუბის ტყორცნაში მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი და ჭაბუკთა რესპუბლიკური რეკორდის ავტორი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრი ნ. ზვიადაური; მახარაძის რაიონის სოფელ ლიხაურის საშუალო სკოლა (რ. ბურჭულაძე, მ. ჯაფარიძე), რომელმაც აღზარდა 100 მეტრზე რბენაში საქართველოს ჭაბუკთა რეკორდის ავტორი და 200 მეტრზე რბენაში საკავშირო სპარტაკიადის ფინალისტი თ. მდინარაძე; ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოს სკოლა (ა. მანთაშევი, ვ. აკიაშვილი), სადაც სწავლობდა ჭოკით ხტომაში საქართველოს ჭაბუკი რეკორდსმენი ვ. ხართიშვილი; დუშეთის რაიონის სოფელ ანანურის სკოლა (მ. ბარჯაძე, დ. ქავთარაძე), რომელმაც აღზარდა შუბის მტყორცნელი ნ. ჩიკოიძე — მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მეექვსე პრიზიორი; ფოთის მე-9 საშუალო სკოლა (კ. ჭანტურია, ჯ. სიხარულიძე). ამ სკოლის მოსწავლეა საქართველოს რეკორდსმენი ექვსჭიდსა და 110 მეტრზე თარჯრბენში ვ. ქავთარაძე, რომელიც ლენინგრადის მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში თარჯრბენში IV ადგილზე გავიდა; ონის 1-ლი საშუალო სკოლა (მ. დავლიანიძე, ი. ჯანუაშვილი), სადაც სწავლობდა საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ჩემპიონი და საკავშირო ჩემპიონატის მეხუთე პრიზიორი ბადროს ტყორცნაში ე. ჩამველიანი.

პირველი ჯგუფის სპორტულ სკოლებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნობის სპეციალიზებული სკოლა (დირექტორი ე. გაგუა) — 476 ქულა, 2. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1-ლი სპორტული ინტერნატი (ა. არჩვაძე) — 198, 3. ქუთაისის განათლების განყოფილების კომპლექსური სპორტსკოლა (ნ. ფულარია) — 163.

მეორე ჯგუფის სპორტსკოლებს შორის იმარჯვა მახარაძის განათლების განყოფილების კომპლექსურმა სპორტსკოლამ (კ. ხმელიძე) — 83 ქულა. II ადგილზე გავიდა ფოთის განათლების განყოფილების კომპლექსური სპორტსკოლა (პ. გოგინეიშვილი) — 75.

ზემოჩამოთვლილი მწვრთნელები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დირექტორები და ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებლები, სპორტსკოლების დირექტორები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელებით, ხოლო მწვრთნელები ა. სადოვოი, ა. იაცკევიჩი, ჟ. საბანაშვილი, ბ. ტახტაროვი, დ. ბეთლემიძე, გ. ერქომაიშვილი, გამარჯვებული სპორტსკოლების დირექტორები ე. გაგუა და კ. ხმელიძე მიიღებენ იმ საკავშირო ან საერთაშორისო ტურნირების საგზურებს, რომლებიც სსრ კავშირის ტერიტორიაზე უნდა ჩატარდეს.

## „ლელო“ წერილების კვალდაკვალ

ჩვენი გაზეთის ა. წ. 18 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა წერილების მიმოხილვა „სად ვითამაშოთ“?, რომელშიც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების სოფლებში ახალგაზრდები მოკლებული არიან სპორტში მეცადინეობის საშუალებას, ვინაიდან არ გააჩნიათ ბაზები, კერძოდ, ფეხბურთის სათამაშო მინდვრები. ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ ახალციხის რაიონის სოფელ ურაველის ფეხბურთელებიც.

რედაქციაში მოვიდა სასიხარულო წერილი, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს კომპარტიის ახალციხის რაიკომის მდივანი შ. გრძელიშვილი: „მოყვანილი ფაქტი სოფელ ურაველში ფეხბურთის მოედნის უქონლობის შესახებ სინამდვილეს შეეფერება.

მიღებულია ზომები სოფელ ურაველის კოლმეურნეობის ახალგაზრდობისთვის ა. წ. 15 აგვისტომდე მარტივი ტიპის ფეხბურთის მოედნის მოწყობის თაობაზე“.

ახალციხის რაიონის ხელმძღვანელობის ასეთი ზრუნვა მისაბაძია. იგი ნიმუშად უნდა იქცეს სხვებისთვისაც, ვინც დაინტერესებულია ახალგაზრდა სპორტსმენთა შემდგომი დაოსტატებით.

* * *

კიდევ ერთი ასეთი წერილი ადიგენიდან, რომელიც პასუხია „ლელოში“ 27 ივნისს გამოქვეყნებული სიგნალისა — „დახმარებას გთხოვენ“. საქართველოს კომპარტიის ადიგენის რაიკომის მდივანი ა. მექვაბიშვილი გვატყობინებს, რომ სოფ. ლელოვანის კოლმეურნეობის გამგეობამ სპორტული მოედნისთვის გამოყო 1,5 ჰექტარი ფართობი, სადაც მიმდინარეობს ბაზის მშენებლობა. აქაურ ახალგაზრდებს უახლოეს ხანში ექნებათ სავარჯიშო და სასპარეზო ადგილი.

## რაიონებში სპორტი

### საჩხერე

არგვეთის, ჭალის, გორისისა და მახათაურის ახალგაზრდებმა გამართეს ამხანაგური შეჯიბრება სამ სახეობაში — კალათბურთში, ფეხბურთსა და ჭადრაკში. კალათბურთში და ჭადრაკში იმარჯვეს ჭალელმა სპორტსმენებმა, ხოლო ფეხბურთში პირველობა არავის დაუთმეს არგვეთელებმა.

ა. ანასაშვილი.

### წითელწყარო

„კოლმეურნის“ რაიონული საბჭოს ხელბურთელთა ასპარეზობაში 10 გუნდმა მიიღო მონაწილეობა. წითელწყაროს ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ხელბურთელებმა 7 მატჩი მოიგეს, 2 ფრედ დაამთავრეს და პირველობაც გაინაღდეს.

გ. უოჩიაშვილი.

### ხაშური

ადგილობრივი საკონსერვო ქარხნის შიდასაკოლექტივო სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა შეჯიბრება ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთსა და ტყვიის სროლაში. ჭადრაკში პირველობა მოიპოვა გ. კალანდაძემ, შაშში — ა. გოცირიძემ, მაგიდის ჩოგბურთში — ი. მეტრეველმა, ტყვიის სროლაში — ნ. ნოზაძემ.

* * *

აგარის შაქრის კომბინატის ფეხბურთელთა გუნდმა „მეშაქრემ“ გამართა ამხანაგური შეხვედრა ხაშურის „ზემო ქართლთან“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ზ. მოსეშვილი.

### აბაშა

გაიმართა „კოლმეურნის“ რაიონული პირველობები ქართულ ჭიდაობაში, მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და კალათბურთში. თვითეულ სახეობაში 9-9 კოლექტივი ცდიდა ძალას. ქართულ ჭიდაობაში უძლიერესი იყო ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გუნდი. კალათბურთში ყველას აჯობეს ნორიოს კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა. ფრენბურთელთა და მძლეოსანთა ასპარეზობაში პირველობა ძველი აბაშის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის სპორტსმენებს ხვდათ.

რ. შანტურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესანიშნავი მეცნიერი და სპორტსმენი

შესრულდა 80 წელი ცნობილი ქართველი მათემატიკოსის, მეტალურგისა და სპორტსმენის გიორგი ნიკოლაძის დაბადებიდან.

ძნელია ითქვას, რა უფრო მეტად იტაცებდა გიორგის — მათემატიკური მეცნიერება, მეტალურგია, რომელსაც თავი შესწირა, თუ სპორტი. სპორტისადმი მისი განუზომელი სიყვარულის დასტურად თუნდაც ის კმარა, რომ გიორგიმ თავისი დაბადების დღე დიდ სპორტულ გამარჯვებას — იალბუზზე ასვლას დაუკავშირა.

ფიზიკური კულტურისა და სპორტისადმი სიყვარული გიორგის ჩაუნერგეს მშობლებმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და პუბლიცისტმა ნიკო ნიკოლაძემ და ოლღა გურამიშვილმა, რომელთაც შვილებს ფიზიკური და გონებრივი განვითარების საუკეთესო პირობები შეუქმნეს. ნამდვილ ტანვარჯიშს კი გიორგი თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში ეზიარა, სადაც იმ დროს მასწავლებლობდა ტანვარჯიშის პირველი მოციქული საქართველოში, ჩეხი ანტონ ლუკეში.

1906 წელს გ. ნიკოლაძე სწავლას აგრძელებს პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. აქ იგი უმცროსი დის თამარის შთაგონებით პეტერბურგის ტანვარჯიშული საზოგადოება „სევერის“ (იგივე „სოკოლი“) წევრი ხდება. ნიჭიერი სპორტსმენი სულ მალე საუკეთესო ტანმოვარჯიშისა და მძლეოსნის სახელს იხვეჭს.

1907 წელს გიორგი პეტერბურგის ვქვს რჩეულ ტანმოვარჯიშესთან ერთად მონაწილეობს სოკოლისტთა სოფიის საერთაშორისო შეჯიბრებაში, 1912 წელს კი ამ საზოგადოების წარმომადგენელთა პრაღის VI საერთაშორისო მოფრენში. ამ შეჯიბრებაში გიორგიმ დიდი აღიარება მოიპოვა — დაფნის გვირგვინი და ჯილდოები დაიმსახურა. მას წარმატება ხვდა როგორც ტანვარჯიშში, ისე მძლეოსნობაში.

1913-17 წლებში გიორგი ტულის, იუზოვკისა და ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხნებში მუშაობს. იგი სპორტს არც აქ ივიწყებს — ქმნის ტანვარჯიშულ ორგანიზაციებს და სექციებში ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს აერთიანებს.

1918 წელს გ. ნიკოლაძე საქართველოში დაბრუნდა და გიორგი ეგნატაშვილთან ერთად სათავეში ჩაუდგა ქართულ ტანვარჯიშულ მოძრაობას. გიორგი ზრუნავს ქართული სპორტის განვითარებისთვის, ქართული სპორტული ტერმინოლოგიის შექმნისთვის, ადგენს ახალ ვარჯიშებს, წვრთნის მეთოდებს, საფუძველს უყრის ტურიზმს...

1920 წელს საქართველოში უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა პირველობა მოეწყო. ამ შეჯიბრებისთვის გიორგი სათანადოდ მოემზადა და უმაღლეს თანრიგში I ადგილი მოიპოვა. აი, რას იგონებს ამის შესახებ შეჯიბრების მონაწილე, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. მერკვილაძე:

— ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებები ადრეც ეწყობოდა ხოლმე, მაგრამ ის ტურნირები უფრო საჩვენებელი ხასიათისა იყო. ხსენებული შეჯიბრება, ფაქტიურად, საქართველოს პირველი ოფიციალური ჩემპიონატი გახლდათ და, ცხადია, ყველანი გულდაგულ ვემზადებოდით. ადვილი როდი იყო იმ დროს აღიარებულ ტანმოვარჯიშეებთან — გაიოზ ბერელაშვილთან, ივანე ბერიძესთან, ირაკლი ლორთქიფანიძესთან, მიტო ჩიკვაიძესთან, არჩილ ბაქრაძესთან, ივანე მაჭავარიანთან, ვახტანგ ციციშვილთან და ქართული ტანვარჯიშის სხვა ვარსკვლავებთან შერკინება. ეს კარგად იცოდა გიორგიმ და მისთვის დამახასიათებელი სიდინჯით, შრომისმოყვარეობით, დაჟინებით ემზადებოდა. ამან ნაყოფიც გამოიღო — გიორგიმ უმაღლესი თანრიგის ვარჯიშში I ადგილი მოიპოვა.

მახსოვს, მე და გაიოზი შეჯიბრების შემდეგ გიორგისთან მივედით და გამარჯვება მივულოცეთ. იგი ჩვეულებრივ ხარხარით მოგვეგება და გვითხრა: „თქვე დალუპულებო, ხომ გეუბნებოდით, ივარჯიშეთ-მეთქი. მაშ, რა გეგონათ, მოხვიდოდით და ხელათ პირველ ჯილდოს მიიღებდით?“

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გ. ნიკოლაძე აქტიურად ებმება ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობაში. მას იწვევენ უნივერსიტეტში, სადაც მათემატიკის კურსს კითხულობს, ამავე დროს მონაწილეობს უნივერსიტეტის სპორტულ ცხოვრებაში.

მხოლოდ ახლა შეიძლებოდა ფრთები შესხმოდა გიორგის დიდი ხნის ოცნებას — კავკასიონის უმაღლესი მწვერვალების დაპყრობას. და აი, 1923 წლის 28 აგვისტოს მისი ხელმძღვანელობით მოწყობილმა ექსპედიციამ მყინვარწვერი დაიპყრო. ეს იყო არა



მარტო ქართული, არამედ პირველი საბჭოური ალპინისტური ლაშქრობა, რომელმაც დასაბამი მისცა საბჭოთა მთამსვლელობას.

მეტად საინტერესო იყო იალბუზ — სვანეთის ექსპედიცია, რომელიც მოეწყო 1925 წელს. ამ ექსპედიციას გიორგი გეოგრაფიულ საზოგადოებასთან ერთად ახორციელებდა და დიდხანს ამზადებდა. ექსპედიციას მეცნიერული ხასიათიც ჰქონდა. ამიტომ მისი შემადგენლობა დიდი და მრავალფეროვანი იყო. 1925 წლის 12 აგვისტოს — გიორგი ნიკოლაძის დაბადების დღეს ჯგუფმა იუბილარის ხელმძღვანელობით ევროპის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. ეს იყო საბჭოთა და ქართული ალპინიზმის ბრწყინვალე გამარჯვება. ასვლა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ასეთ სიმაღლეზე ალპინიზმის ისტორიაში პირველად ავიდნენ ქალები, გიორგის ახლო მეგობრები და მოწაფეები: ა. ნიკოლაიშვილი, მ. ბეჟანიშვილი, ლ. ჩხეიძე, მ. ტყავაძე, ე. ლორთქიფანიძე.

ცნობილ მთამსვლელს გახა წიკლაურს იალბუზზე პირველს მიულოცნია დაბადების დღე გიორგისთვის და უთქვამს: დოვლათიანი კაცი ხარ და შენი დაბადების დღეც დოვლათიანი გამოვიდაო. ამ დღეს გ. ნიკოლაძეს 37 წელი შეუსრულდა.

1926 წელს გიორგი საფრანგეთს მიემგზავრება დისერტაციის დასაცავად.

სპორტისთვის მას არც ახლა უღალატნია. ლონდონში გიორგის ადგილობრივი ტანვარჯიშული საზოგადოების დარბაზში უვარჯიშია და უზადო ოსტატობით მოუხიბლავს იქაურები. აღსანიშნავია, რომ გიორგიზე ადრე ინგლისში მისი და თამარი ყოფილა. მას მონაწილეობა მიუღია ადგილობრივ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობაში და I ადგილი მოუპოვებია.

სამშობლოში დაბრუნებული გიორგი მთელ თავის ცოდნას, ძალასა და ღონეს ახმარს ქართული მეტალურგიის აღორძინებას. იგი ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მშენებლობის ერთ-ერთი ორგანიზატორია...

სპორტს მაინც ვერ ეთხოვება 41 წელს მიღწეული გიორგი. 1929 წელს იგი აწყობს თეთნულდის ექსპედიციას, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა მისი მეგობრებისა და თანამებრძოლებისთვის ალპინიზმში — სიმონ ჯაფარიძისა და პიმენ დვალისთვის. ისინი მწვერვალის მისადგომებთან დაიღუპნენ.

ამ უბედურებამ, ჯერ მამის, შემდეგ კი ახლო მეგობრის, ცნობილი ქართველი მეცნიერის ა. რაზმაძის გარდაცვალებამ მოტეხა დაუდგრომელი კაცი. გიორგი გამოეთხოვა სპორტს და მთლიანად მეტალურგიას მოჰკიდა ხელი. საცდელ ღუმელთან გიორგი გაცივდა, რაც ფილტვების ანთებად გადაექცა. ავადმყოფობა საბედისწერო გამოდგა.

გ. ნიკოლაძემ დაგვიტოვა მეტად მდიდარი სპორტული ბიოგრაფია, რომელიც მაგალითი უნდა იყოს მომავალი თაობისთვის, ყველა ქართველი სპორტსმენისთვის.

ბ. ჩიკვაიძე.

* * *

**გ. ნიკოლაძის ბადროს ტყორცნამ ისე მოხიბლა პრაღის საერთაშორისო შეჯიბრების მომწყობნი, რომ სურათიც გადაუღეს და ღია ბარათის სახით გამოსცეს.**

ფოტორეპროდუქცია გ. ალიევისა.

## ფეხბურთი

### სსრ კავშირის პირველობა

„ბ“ კლასი

#### გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 11 აგვისტოსათვის

III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დილა“ (გორი) | 23 | 15 | 6 | 2 | 46—12 | 36 |
| „სპარტაკი“ (ბელგოროდი) | 22 | 13 | 5 | 4 | 35—13 | 31 |
| „შრ. რეზერვები“ (კურსკი) | 22 | 13 | 4 | 5 | 30—7 | 30 |
| „ტრუდი“ (მაიკოპი) | 23 | 13 | 4 | 6 | 34—14 | 30 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 23 | 13 | 3 | 7 | 23—18 | 29 |
| „ხიმიკი“ (ბალაკოვო) | 23 | 9 | 10 | 4 | 18—11 | 28 |
| „ტორპედო“ (არმავირი) | 23 | 9 | 7 | 7 | 22—20 | 25 |
| „ტრუდი“ (ლაბინსკი) | 22 | 8 | 9 | 5 | 12—18 | 25 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 22 | 7 | 10 | 5 | 21—17 | 24 |
| „ალაზანი“ (გურჯაანი) | 23 | 10 | 4 | 9 | 28—25 | 24 |
| „ენერგია“ (ვოლჟსკი) | 23 | 8 | 7 | 8 | 22—17 | 23 |
| „ტრუდი“ (ალექსანდროვსკაია) | 23 | 9 | 5 | 9 | 19—19 | 23 |
| „ტრუდი“ (სლავიანსკი) | 23 | 8 | 6 | 9 | 22—23 | 22 |
| „დაშკინი“ (ზაქათალა) | 23 | 8 | 5 | 10 | 20—37 | 21 |
| „ტრუდი“ (ენგელსი) | 21 | 6 | 7 | 8 | 17—19 | 19 |
| „ტრუდი“ (სვეტლოგრადი) | 23 | 5 | 9 | 9 | 17—23 | 19 |
| „ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) | 23 | 6 | 6 | 11 | 17—32 | 18 |
| „ხიმიკი“ (ნევინომისკი) | 23 | 4 | 8 | 11 | 14—26 | 16 |
| „ტრუდი“ (ლენინგრადსკაია) | 22 | 2 | 9 | 11 | 10—25 | 13 |
| „არაზი“ (ნახიჩევანი) | 23 | 4 | 4 | 15 | 17—42 | 12 |
| „ურალანი“ (ელისტა) | 22 | 1 | 5 | 16 | 19—38 | 7 |

IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლორი“ (კიროვაკანი) | 23 | 11 | 10 | 2 | 22—14 | 32 |
| „სევანი“ (ოქტემბერიანი) | 23 | 12 | 6 | 5 | 37—18 | 30 |
| „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) | 23 | 10 | 10 | 3 | 29—11 | 30 |
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 23 | 11 | 5 | 7 | 28—16 | 27 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 23 | 11 | 5 | 7 | 35—24 | 27 |
| „არაქსი“ (ეჩმიაძინი) | 23 | 12 | 3 | 8 | 25—18 | 27 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 23 | 9 | 7 | 7 | 27—31 | 25 |
| „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) | 23 | 8 | 8 | 7 | 26—18 | 24 |
| „ტრუდი“ (კრიმსკი) | 23 | 7 | 10 | 6 | 25—22 | 24 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 23 | 8 | 8 | 7 | 23—24 | 24 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 23 | 9 | 5 | 9 | 30—28 | 23 |
| „მაღაროელი“ (ჭიათურა) | 22 | 7 | 9 | 6 | 20—20 | 23 |
| „ტრუდი“ (დერბენტი) | 22 | 8 | 7 | 7 | 19—21 | 23 |
| „ირისთონი“ (მოზდოკი) | 23 | 8 | 6 | 9 | 26—25 | 22 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 23 | 8 | 4 | 11 | 28—26 | 20 |
| „ტრუდი“ (კასპიისკი) | 22 | 7 | 5 | 10 | 21—28 | 19 |
| „ენგური“ (ზუგდიდი) | 23 | 5 | 9 | 9 | 13—25 | 19 |
| „სპარტაკი“ (ცხინვალი) | 23 | 5 | 7 | 11 | 14—22 | 17 |
| „ლერნაგორცი“ (კაფანი) | 22 | 7 | 3 | 12 | 19—31 | 17 |
| „ტრუდი“ (გროზნო) | 23 | 4 | 6 | 13 | 21—36 | 14 |
| „კახეთი“ (თელავი) | 22 | 3 | 5 | 14 | 11—36 | 11 |

## საქართველოს პირველობა

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფის I ქვეჯგუფი

მდგომარეობა 10 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ (თბილისი) | 25 | 16 | 7 | 2 | 51—14 | 39 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 25 | 13 | 9 | 3 | 48—24 | 35 |
| ფიზკულტურის ინსტ. (თბილისი) | 25 | 13 | 8 | 4 | 43—25 | 34 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 25 | 11 | 11 | 3 | 31—17 | 33 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 26 | 13 | 5 | 8 | 36—22 | 31 |
| „მეიქარი“ (წულუკიძე) | 26 | 10 | 10 | 6 | 33—30 | 30 |
| „სპარტაკი“ (ბორჯომი) | 24 | 9 | 11 | 4 | 33—22 | 29 |
| „აერო“ (გალი) | 25 | 10 | 9 | 6 | 25—25 | 29 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 25 | 9 | 10 | 6 | 39—26 | 28 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 25 | 10 | 8 | 7 | 33—30 | 28 |
| „სულორი“ (ვანი) | 25 | 11 | 5 | 9 | 26—23 | 27 |
| „მშენებელი“ (სიღნაღი) | 23 | 8 | 6 | 9 | 24—31 | 22 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 26 | 8 | 6 | 12 | 23—40 | 22 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 26 | 8 | 5 | 13 | 28—45 | 21 |
| „ნარინჯი“ (ბათუმის რაიონი) | 25 | 6 | 8 | 11 | 20—32 | 20 |
| „ლაითური“ (მახარაძის რაიონი) | 26 | 6 | 7 | 13 | 21—28 | 19 |
| „ისანი“ (თბილისი) | 25 | 6 | 7 | 12 | 21—32 | 19 |
| „სამცხე“ (აწყური) | 26 | 4 | 10 | 12 | 25—33 | 18 |
| „გარეჯი“ (საგარეჯო) | 24 | 6 | 6 | 12 | 24—37 | 18 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 25 | 8 | 1 | 16 | 21—36 | 17 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 24 | 5 | 6 | 13 | 16—29 | 16 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 24 | 5 | 5 | 14 | 19—38 | 15 |

## სკრელებმა ყველას სძლიეს

დიდი ინტერესი გამოიწვია გორის რაიონის ჭაბუკ მოჭიდავეთა პირად-გუნდურმა პირველობამ. ბრძოლაში 103 სპორტსმენი ჩაება. სკრელებმა ყველას სძლიეს და პირველობაც გაინაღდეს. მომდევნო საპრიზო ადგილები გაინაწილეს ზეღდულეთელმა და კარალეთელმა ფალავნებმა.

პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ა. ბუდაღაშვილი (კარალეთი), ნ. ფიცხელაური (ზეღდულეთი), გ. პაპუაშვილი (ვარიანი), ო. მაზანაშვილი (ზერტი), ე. ცერცვაძე (ზეღდულეთი), გ. ზაალიშვილი (კარალეთი), ზ. ტიელიძე (ზერტი), შ. ჩოჩიშვილი (სკრა) და პ. პეტუაშვილი (კარალეთი).

მეორე ადგილზე გასული სპორტსმენებიდან ყურადღება მიიპყრეს სკრელმა გ. ინდუაშვილმა, ზეღდულეთელმა რ. ცერცვაძემ და ვარიანელმა შ. მეტრეველმა.

ი. თევდორაშვილი.

(ჩვენი კორ.).

გორი.




## დირექტორის წვლილი

სოხუმის მე-6 სამშენებლო ტრესტის სპარტაკიადაში ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია 1-ლი სამშენებლო უბნის თანამშრომელმა, 31 წლის ა. ეგოროვმა, რომელმაც ჯერ 1 კილომეტრზე კროსი მოიგო (2.52,1), შემდეგ კი თანაგუნდელ ფრენბურთელებთან ერთად ყველა მეტოქე დაამარცხა და ამ სახეობაშიც ჩემპიონობა მოიპოვა. კალათბურთელთა ტურნირშიც ამ უბნის სპორტსმენებმა ისახელეს თავი. ყველაზე მძიმე ბრძოლა მათ მესამეუბნელებთან ჰქონდათ და გაიმარჯვეს — 37:33.

ჭადრაკში ყველას აჯობეს ტრესტის სამმართველოს წარმომადგენლებმა, შაშში პირველი იყო ხის დამმუშავებელი ქარხნის გუნდი.

ამ ქარხნის სპორტსმენებმა საერთო გუნდურ ჩათვლაშიც ისახელეს თავი და მეორედ მოიპოვეს გარდამავალი თასი. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის ქარხნის დირექტორს მ. ლოგუას, რომლის დახმარებითაც მოეწყო ფეხბურთის მინდორი და ფრენბურთის მოედანი, ტანვარჯიშული ბაქანი. რეგულარულად ვარჯიშობენ გუნდები.

ვ. ბუკიანი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

# სპორტსმენები და ბინძური ომი

**გრენობლის კეთილშობილური მოწოდება ● ოლიმპიური წელიწადი მშვიდობის წელიწადად იქცეს ● საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს რეზოლუცია გამოაქვს ● ვინ მოკლა რობერტ კარმოდი? ● პელე პენტაგონის ავანტიურის წინააღმდეგ ● „ეს დანაშაულია!“ — ამბობენ დასავლეთგერმანელი ათლეტები.**

როცა ელინები ოლიმპიურ შეჯიბრებებზე იკრიბებოდნენ, ყოველნაირ შინა ომებსა და ბრძოლებს დროებით წყვეტდნენ. ამ კეთილშობილურმა ტრადიციამ შთააგონა X თეთრი ოლიმპიადის მასპინძლები — ქალაქ გრენობლის მცხოვრებლები. მათ ყოველივე შესაძლებელი გააკეთეს, რათა გრენობლის თამაშებს ხალხთა შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა.

გრენობლის მუნიციპალიტეტი საზოგადოებრიობის ინიციატივით გამოვიდა მოწოდებით: 1968 წლის ოლიმპიური თამაშების დღეები უნდა იყოს „ომის შეწყვეტის წმიდა დღეები“ ყველა კონტინენტზე, ყველგან, სადაც ჯერ კიდევ წარმოებს საომარი მოქმედება. „დღეს გრენობლის მუნიციპალიტეტი მოუწოდებს ყველას — მიბაძონ ოლიმპიადების დამაარსებელთა მაგალითს. დაე, XX საუკუნის ადამიანები ისევე გონივრულად მოიქცნენ, როგორც მათი წინაპრები. დაე, ოლიმპიურ დღეებში დედამიწის ყველა კუთხეში მხოლოდ სასტარტო პისტოლეტების სროლა ისმოდეს!“

„მეხიკო მხარს უჭერს გრენობლის მოწოდებას“, — თქვა XIX ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ პედრო რამირეს ვასკესმა პრეს-კონფერენციაზე მოსკოვში. ვასკესმა ხაზგასმით აღნიშნა: „მექსიკელებს პირველ ყოვლისა სურთ, რომ ოლიმპიადა იყოს მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის შეკრების ადგილი, სადაც ქალიშვილები და ჭაბუკები შეძლებენ უკეთ გაეცნონ და გაუგონ ერთმანეთს. ჩვენ გვსურს ოლიმპიური თამაშები ჩავატაროთ ლოზუნგით: „სპორტი, კულტურა, მშვიდობა“.

და ეს ლოზუნგი სულ უფრო და უფრო მეტ მიმდევარს იძენს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, ვინაიდან იგი უშუალოდ გამომდინარეობს კეთილშობილური ოლიმპიური იდეებისგან, ჯერ კიდევ ძველმა ელინებმა რომ წამოაყენეს და თანამედროვე ოლიმპიადების შემქმნელმა პიერ დე კუბერტენმა აალორძინა.

ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ოლიმპიური ქარტიისა, რომლის მნიშვნელობა ყოველი სპორტსმენისთვის ძვირფასი და გასაგებია, არის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის პრინციპი. აი, რა წერია ქარტიაში: „ოლიმპიური მოძრაობის მიზნები მდგომარეობს როგორც იმ შესანიშნავი ფიზიკური და მორალური თვისებების განვითარების ხელშეწყობაში, რომელთაც სპორტსმენები იძენენ სამოყვარულო სპორტის მეგობრულ მოედნებზე, ისე ოთხ წელიწადში ერთხელ მსოფლიოს ახალგაზრდობის გაერთიანებაში უდიდეს სპორტულ დღესასწაულზე, რაც თავისთავად ქმნის საერთაშორისო ნდობასა და კეთილ სურვილს, ხელს უწყობს უკეთესი და უფრო მშვიდი მსოფლიოს შექმნას“.

სწორედ ამ კეთილი სურვილისკენ მოუწოდებდა ბევრჯერ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი (სოკ) დედამიწის ყველა სახელმწიფოს, ჩვენი პლანეტის ყველა ათლეტს. ყველას, ვინც სულითა და გულით ოლიმპიური მოძრაობის მხარეზეა, ემახსოვრება სოკ-ის 1967 წლის სესია. ამ სესიამ სსრ კავშირის წარმომადგენელთა ინიციატივით მიიღო რეზოლუცია, რომელიც სპორტსმენებს მშვიდობისთვის ბრძოლისკენ მოუწოდებდა, ვინაიდან მხოლოდ მშვიდობიანობის დროს შეიძლება ადამიანის ჯანმრთელობაზე მზრუნველობა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება. ამ რეზოლუციის ზოგიერთი სტრიქონი იმსახურებს, რომ მთლიანად მოიყვანო იგი:

„ოლიმპიური მოძრაობის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ყველა კონტინენტის ახალგაზრდობას შორის მეგობრობისა და ურთიერთგაგების გრძნობის განვითარება წარმოადგენს, რაც ხელს შეუწყობს უკეთესი, უფრო მშვიდი მსოფლიოს შექმნას.

აქედან გამომდინარე, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ყველა სპორტსმენს მოუწოდებს იმოქმედონ ამის შესაბამისად, ვინაიდან ოლიმპიური მოძრაობა, ეროვნული და საერთაშორისო სპორტის განვითარება დედამიწაზე მხოლოდ მშვიდობიანობის პირობებშია შესაძლებელი“.

მთელმა რიგმა დელეგაციებმა ზემოთ მოყვანილი პრინციპებით იხელმძღვანელეს და წლეულს თებერვალში სოკ-ის 66-ე სესიაზე შეიტანეს წინადადება გრენობლის მოწოდების მხარდაჭერის შესახებ. ეს წინადადება მიღებულ იქნა. ასე შეიქმნა რეზოლუცია, რომელიც მთელმა სპორტულმა სამყარომ მოიწონა:

„საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 66-ე სესია სავსებით უჭერს მხარს ქალაქ გრენობლის მერის მოწოდებას მთელ მსოფლიოში საომარი მოქმედების შეწყვეტის თაობაზე.

ჩვენ მივმართავთ ყველას, ვინც მხარს უჭერს ოლიმპიურ იდეალებს, ყველაფერი იღონონ, რათა ოლიმპიური თამაშების პერიოდში მთელ მსოფლიოში შეწყდეს საომარი მოქმედება“.

რაზეა ლაპარაკი სოკ-ის რეზოლუციაში? რომელ აგრესორ და მშვიდობიანობის დამრღვევ ქვეყნებს გულისხმობენ? ავიღოთ, თუნდაც, ტელავიველი ექსტრემისტები, რომლებიც მორიგი გამოხდომით აშკარად ცდილობენ დაიპყრონ არაბული მიწები და არ სურთ მათ მიერ ოკუპირებული ტერიტორიიდან ჯარების გაყვანა. სოკ-ის რეზოლუცია მოითხოვს აშშ-ს ბინძური ომის შეწყვეტას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის მამაცურად მებრძოლი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. მაგრამ ამერიკის მთავრობას ყურად არ უღია სპორტსმენთა მრავალმილიონიანი არმიის ხმა, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია მოთხოვნისთვის, რომ ოლიმპიური წელიწადი მშვიდობის წელიწადად იქცეს. პენტაგონი აგრძელებს ბარბაროსულ აგრესიას და ომის ქარცეცხლში აგდებს ათეულ ათასობით ჯანსაღ ამერიკელ ახალგაზრდას, რომელთაც შეეძლოთ ოლიმპიურ სპორტში თავის გამოჩენა და რომელთა ხვედრადაც მკვლელთა სპორტი იქცა.

რობერტ კარმოდი ბოლოა ამერიკული სპორტის სამგლოვიარო კრონიკაში. ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენი საყვარელ სახეობაში დაოსტატებაზე ოცნებობდა და 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა ჰქონდა განზრახული. მაგრამ პენტაგონმა მას სხვაგვარი ფინიშის ხაზი მოუმზადა. სხვა ათასი ლანდსკნეხტის მსგავსად, რობერტ კარმოდიც შორეულ ვიეტნამში გაგზავნეს. ოდესღაც იგი ამერიკის ღირსებას იცავდა, ახლა კი მისთვის სირცხვილი მოჰქონდა და სახალხო შურისმაძიებლის ტყვიამ განგმირა.

კალიფორნიის ქალაქ ბერბანკში მოკრივის ქვრივი და ორი ვაჟიშვილი დასტირიან ქმრის და მამის სიკვდილს. სწორედ მას, მისის კარმოდის მიმართა ღია წერილით რობერტის ყოფილმა მეტოქემ ოლიმპიურ ტურნირში, გერმანელმა სპორტსმენმა ოტო ბაზიამმა. ბაზიაში მრისხანედ ლაპარაკობს ჭეშმარიტ დამნაშავეებზე ამერიკელი ოლიმპიელის სამარცხვინო დაღუპვაში. „მე არ ვიცი, სიტყვები განუგეშებენ თუ არა, მაგრამ მინდა ვთქვა: იმ სპორტსმენების ვალს, რომლებიც ერთად გამოდიოდნენ ტოკიოში, მათ ვალს, ახლა რომ აპირებენ მეხიკოში გამგზავრებას და, საერთოდ, ყველა სპორტსმენის კეთილშობილურ ვალს წარმოადგენს ბრძოლა შავბნელ ძალებთან. ამ ძალებს მწუხარება და უბედურება მოაქვთ როგორც საკუთარი, ისე სხვა ხალხებისთვის. ამერიკის სპორტსმენებს უფლება არა აქვთ განზე იდგნენ. ისინი მთელი ძალით უნდა იბრძოდნენ პენტაგონის მიერ ვიეტნამში გაჩაღებული დანაშაულებრივი აგრესიის წინააღმდეგ“.

მსოფლიოს ყველა კეთილგონიერი სპორტსმენი ამერიკელ პატრიოტებთან ერთად გაბედულად ილაშქრებს ვიეტნამში აშშ-ს იმპერიალიზმის ბარბაროსული აგრესიის წინააღმდეგ. დანაშაულებრივი ამერიკული ავანტიურის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში სოციალისტური ბანაკის ქვეყნების სპორტსმენები დგანან. მათ მხარს უჭერენ ჩვენი პლანეტის მრავალი კუთხის პატიოსანი ათლეტები.

არც თუ დიდი ხნის წინ პენტაგონის დანაშაულებრივი მოქმედებები, მისი ბინძური ომი ინდოჩინეთში დაგმო კიდევ ერთმა ცნობილმა სპორტსმენმა. ლაპარაკია სახელგანთქმულ ბრაზილიელ ფეხბურთელზე ედსონ არანტეს დო ნასიმენტოზე (პელე). ამასთან დაკავშირებით პელემ ინტერვიუ მისცა ბრაზილიურ ჟურნალ „ზერო ხორას“.

სპორტსმენის აზრით, ყველა ცდა როგორმე „დაასაბუთო“ უდიდესი კაპიტალისტური სახელმწიფოს თავდასხმა ვიეტნამის ხალხზე, რომელიც მამაცურად იბრძვის თავისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის, განწირულია. ამერიკელები დაუპატიჟებელ სტუმრებად ჩავიდნენ ვიეტნამში. ვიეტნამის მრავალტანჯულ მიწაზე ყოველდღე ფეთქდება ამერიკის შეერთებულ შტატებში დამზადებული ყუმბარები და ბომბები, ყოველდღე იღუპება ხალხი. „ყოველი ადამიანის ვალია, — ხაზს უსვამს პელე, — ამ სამარცხვინო სისხლისმღვრელი ომის შეწყვეტისთვის იბრძოლოს“.

ცნობილი სპორტსმენი ამბობს, რომ ამერიკელ პროპაგანდისტებს უყვართ ლაპარაკი „სუსტად განვითარებული ქვეყნებისთვის აშშ-ს დახმარებაზე“. „იქნებ ვიეტნამში ომიც მაგდაგვარი „დახმარებაა“? დაე, ამერიკელმა სტატისტიკოსებმა გამოიანგარიშონ, რამდენი სურსათის გაგზავნა შეეძლო აშშ-ს ჩამორჩენილი, ყოფილი კოლონიური ქვეყნების მშიერი მოსახლეობისთვის იმ ფულით, რომელიც ვიეტნამში ბინძური ომისთვის იხარჯება“. ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი ინტერვიუ პელემ.

ცნობილია, რომ აშშ-ს იმპერიალიზმის მოკავშირეებს შორის ყველაზე გულმოდგინე ოფიციალური ბონია, რომელიც უყოყმანოდ უჭერს მხარს აგრესიას ვიეტნამში. სხვაგვარი, პირდაპირ საწინააღმდეგო პოზიცია უჭირავთ დასავლეთგერმანელ სპორტსმენებს. მაინის ფრანკფურტის უმაღლესი სკოლის დირექტორმა, დასავლეთგერმანული მძლეოსნური კავშირის ერთ-ერთმა მოწინავე მოღვაწემ კარლ ჰაგედორნმა ტრადიციულ „სპორტულ ოთხშაბათზე“ ... წაიკითხა რეფერატი თემაზე — „... მანიზმი, ოლიმპიადა და ვიეტნა... ომი“. მომხსენებელმა გაბედულად ... კიცხა ამერიკის შეერთებული შტატ... ბარბაროსული ომი ინდოჩინეთ...

„გფრ-ის ფედერალური მთავრობა ... სპორტული ხელმძღვანელობა სი... ვერ პოულობენ, რათა დაგმონ მას... რივი მკვლელობები ვიეტნამში, — ... ჰაგედორნმა. — დასავლეთგერმან... სპორტსმენებისთვის გაუგებარია, ... ტომ არ შეუძლია სპორტბუნდს მთე... სიმძაფრით გაკიცხოს აგრესორები. ... ეტნამში ამერიკის შეერთებული შტატ... ბის ომი — ეს ხომ დანაშაულია ... ეტნამელი ხალხის წინააღმდეგ!“.

სპორტი და მშვიდობა — ეს ... ცნება მუდამ ერთად დგას, სპორტი ... ომი კი შეუსაბამობაა. სწორედ ... ტომ, მეხიკოს ოლიმპიადის ... მთელს პლანეტაზე ახალი ძალით გა... სმის კეთილშობილური მოწოდ... ოლიმპიური წელიწადი მშვიდობ... წელიწადად იქცეს!

ა. გურკოვი.




სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ გამოუშვა მექსიკ... XIX ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი საფოსტო ბლოკი, რომელ... საც ამ სურათზე ხედავთ.

საქდესის ფოტოქრონიკა

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### ბასბი თასს უმიზნებს

—არგენტინის ჩემპიონ „ესტუდიანტეს ლა პლატას“ დამარცხება და საკონტინენტთაშორისო თასის მოპოვება ჩვენი მიზანი გახლავთ, — განაცხადა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა მ. ბასბიმ. მან ჟურნალისტებთან საუბარში თქვა, რომ არ უნდა გამეორდეს შარშანდელი ისტორია, როცა „სელტიკმა“ სრულიად მოულოდნელად წააგო ბუენოს-აირესის „რესინგთან“.

ბასბის აზრით, მისი გუნდი კარგადაა მომზადებული და სამხრეთ ამერიკაში ადრე გაემგზავრება აკლიმატიზაციის მიზნით. არგენტინის ფეხბურთის ფედერაცია სპეციალურ განცხადებაში ინგლისელებს ჰპირდება, რომ ბუენოს-აირესის სტადიონზე, ... შეუქმნის პირობებს წვრთნისა და ... ვენებისთვის.

პირველი მატჩი, როგორც ცნობილია, დანიშნულია 25 აგვისტოს, ხოლო 16 სექტემბერს გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან მანჩესტერის „ოლდ ტრაფორდის“ სტადიონზე.

### პელე კვლავ ბრწყინავს

ბრაზილიის ნაკრები ჩაება „ოსვალდო კრუზის თასის“ გათამაშებაში, რომელიც მწვრთნელ ა. მორეირას მსოფლიო პირველობისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპად მიაჩნია.

მატჩი მიმდინარეობდა სტუმრების დიდი უპირატესობით. პარაგვაელებმა ვერაფერი მოუხერხეს პელეს, რომელიც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ გამოდიოდა ნაკრებში. მე-8 და 23-ე წუთებზე მან 2 გოლი გაიტანა.

48-ე წუთზე ანგარიში გაზარდა ტონინიომ (№ 9), ხოლო ბოლო წუთზე კიდევ ერთი გოლი გაიტანა ედუარდომ (№ 11).

# ეკრანებზეა სპორტული კინოფილმები

საკმაოდ დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც ლევ კასილის სპორტული რომანის „რესპუბლიკის მეკარის“ მიხედვით (გახსოვთ ანტონ კანდიდოვი?) დაიდგა იმავე სახელწოდების მხატვრული ფილმი. ცნობილი მწერალი სპორტის დიდი მცოდნე და დამფასებელია, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მისი სახელი კვლავ გამოჩნდა სპორტულ თემაზე გადაღებული კინოსურათის აფიშებზე. „დარტყმა! კიდევ დარტყმა!“ ასე ეწოდება ამ ფილმს, რომლის სცენარი ლ. კასილსა და ფილმის დამდგმელ რეჟისორს ვ. სადოვსკის ეკუთვნით. სცენარზე მუშაობაში მონაწილეობდა ვ. კუნინიც. სურათი, რომელიც კინოსტუდია „ლენფილმმა“ დადგა, ფეხბურთელებზე მოგვითხრობს, ხოლო მთავარი ყურადღება მათს მწვრთნელზეა გადატანილი. საფეხბურთო ეპიზოდებში სიყალბისთვის გვერდი რომ აევლოთ, ლენინგრადის ფეხბურთის ფედერაციის წევრმა ვ. სადოვსკიმ ფილმში სათამაშოდ მიიწვია ტყავის ბურთის ადგილობრივი ოსტატები ს. ზავიდონოვი, ო. და ი. მოროზოვები და სხვ.

* * *

საბჭოთა დოკუმენტალისტებმა რამდენიმე საინტერესო ფილმი შექმნეს სპორტზე: ახალგაზრდა უკრაინელმა რეჟისორმა ვ. საველიევმა დადგა მოკლემეტრაჟიანი „ნა-ტა-ლი“, ლიტველმა ოპერატორმა ა. ვარანკამ — „ძახილი“, მოსკოველმა ვ. ვინოგრადოვმა — „მოჭადრაკეები“.

ნა-ტა-ლი, ეს ნატაშა კუჩინსკაიაა, სსრ კავშირის ოთხგზის აბსოლუტური ჩემპიონი სპორტულ ტანვარჯიშში. ძნელია ჩემპიონი იყო — მხოლოდ ტანვარჯიშისადმი უანგარო სიყვარული და თითქმის ყოველდღიური დამქანცველი შრომა აგიყვანს კვარცხლბეკზე უმაღლეს საფეხურზე. ძნელია. დაძაბული დღის შემდეგ დაღლილი ნატაშა ფეხზე ძლივს დგას. იგი ფიქრობს თავის მომავალზე, მოწოდებაზე და ჩანს, რომ ეს პატარა, ჰაეროვანი გოგონა სერიოზული, ღრმა ადამიანია.

ვ. საველიევმა ოპერატორ ფ. გილევიჩთან ერთად ჩინებული ფილმი შექმნა. მან ლამაზად და მარჯვედ გამოიყენა კინემატოგრაფიული ხერხების ფართო არსენალი და ფირიც შეუნიშნავი არ დარჩა — საერთაშორისო კინოფესტივალზე კორტინა დ'ამპეცოში „ნა-ტა-ლის“ საპატიო ჯილდო გადაეცა.

მთამსვლელების ამხანაგობასა და მამაცობაზე მოუთხრობს მაყურებელს ფილმი „ძახილი“, რომელსაც ტრაგიკული შემთხვევა დაედო საფუძვლად: ჩვიდმეტი ლიტველი მთამსვლელის თვალწინ მთიდან თოვლის ზვავი მოწყდა და მათ მახლობლად განლაგებული ყაზახი სპორტსმენების კარვები დაიტანა.

ფილმის ავტორმა ა. ვარანკამ კარგად გადმოსცა თავისი საყვარელი სპორტის სახეობის იდეა.

სურათი გადაღებულია პამირის ერთ-ერთი ურთულესი მწვერვალის — კომუნიზმის პიკის დალაშქვრისას.

სცენარი ქრონიკალური ფილმისთვის „მოჭადრაკეები“ დაწერა სპორტის ოსტატმა მ. ბეილინმა. აი, რას ამბობს იგი ამ კინოფილმის შესახებ:

— რეჟისორმა ვ. ვინოგრადოვმა (იგი ჩემი თანაავტორიცაა) და ოპერატორმა ე. უცკიმ მიზნად დაისახეს ეკრანზე ეჩვენებინათ ადამიანის აზროვნების პროცესი. ამ გაგებით ჭადრაკი შემოქმედების ფართო ასპარეზს წარმოადგენს. ჩემი აზრით, ცალკეული მოთამაშეების პორტრეტებმა ფილმში განსაკუთრებული ინტერესი უნდა გამოიწვიოს.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე.**

„განთიადის“ ცენტრალური საბჭოს კოლექტივი სამძიმარს უცხადებს თანამშრომელ ტ. კიკნაველიძეს მამის

**ზაქარია ანტონის ძე კიკნაველიძის**

გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 13, 14 VIII, 19 საათზე. დაკრძალვა 15-ში, 18 საათზე — შაუმიანის ქ. № 88.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 07674